შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

ქ. თბილისი

9 თებერვალი 2017 წელი

კომისიის სხდომის

ოქმი N1

დღის წესრიგი:

შესყიდვის ელექტრონული პროცედურის საშუალებით **შუქ-დიოდური სანათების** შესყიდვა.

მოისმინეს:

კომისიის წევრების გამოსვლა, რომელშიც აღინიშნა, რომ კომპანია ახორციელებს საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. დაგეგმილი სამუშაოების საწარმოებლად საჭიროა შესყიდულ იქნას შუქ-დიოდური სანათები.
კომისიის აპარატის წევრმა მიხეილ გიორგაძემ კომისიას წარუდგინა შესაბამისი შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაცია.

დაადგინეს:

1. მოწონებულ იქნეს და დამტკიცდეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია (თან ერთვის);
2. შესყიდვის ელექტრონული პროცედურა გამოცხადდეს 2017 წლის 9 თებერვალს;
3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს: 37 829 ლარი დღგ-ს ჩათვლით;
4. წინადადების მიღების ვადა განისაზღვროს: 2017 წლის 16 თებერვალი;
5. წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი განისაზღვროს 378 ლარი;
6. დაევალოს კომისიის აპარატს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შესახებ განცხადების და დოკუმენტაციის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის წევრები:

---------- გიორგი შენგელია (კომისიის თავმჯდომარე)

---------- ვახტანგ გოგია

---------- ირაკლი კუპრავა

---------- უჩა მამუჩაშვილი

---------- მალხაზ ხოშტარია

კომისიის აპარატის წევრები:

---------- თენგიზ ღუნაშვილი

---------- მიხეილ გიორგაძე